ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 4330/01
01/05/2019

4330-01-2-201905011117

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის № 12

ბატონო ირაკლი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ მიმდინარე წლის 15 აპრილს წარმოდგენილი (N2-12/4385) სკოპინგის ანგარიში, რომელიც ეხება სნო -ჯუთა - როშკა - შატილი - ომალო - ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტას მიმართულებით ს/გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების **როშკა-ღელისვაკის** მონაკვეთის მშენებლობა/რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიშის სხვადასხვა თავებში მითითებულია საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, სკოპინგის ანგარიშის სატიტულო გვერდზე საქმიანობის დასახელებაში მითითებულია როშკა - ღელისვაკის მონაკვეთის მშენებლობა/რეკონსტრუქცია, შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ტექნიკური დავალების (ნაწილი 02-ის) მიხედვით მომზადდა (პროექტის ამოცანაა) როშკა-ღელისვაკეს მონაკვეთის (ახალი გზის) მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია. სკოპინგის ანგარიშში ასევე მითითებულია გზის რეკონსტრუქცია, ხოლო დოკუმენტის 5.2.5 ქვეთავში აღნიშნულია „საავტომობილო გზა ძირითადად გაყვანილია, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს მისი რეკონსტრუქციისთვის გათვალისწინებული სამუშაოები ...“
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დაგეგმილი საქმიანობის და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატიული ვარიანტების დეტალური აღწერა. მოცემულია მხოლოდ რამდენიმე გარემოება ყოველგვარი დასაბუთებისა და განხილვის გარეშე. არ არის დასაბუთებული რატომ მიენიჭა უპირატესობა შერჩეულ ალტერნატივას. არაა განხილული საპროექტო გზის ხიდების, ხელოვნური ნაგებობების ალტერნატივები. აღნიშნულია, რომ დეტალური კვლევა განხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შემდეგ ეტაპზე;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო გზა კვეთს მშრალ ხევებს, მდინარეებს. ანგარიშში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია ცხრილის სახით ორი სახიდე გადასასვლელის შესახებ, ხოლო ხევების, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო არხების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტები არაა მოცემული;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი ხიდი კვეთს მდინარე როშკისწყალს. დოკუმენტში კი განხილულია მდ. როშკისწყლის უსახელო შენაკადის მოკლე ჰიდროლოგიური ანგარიში. არ არის წარმოდგენილი მდ. როშკისწყლის ჰიდროლოგია/ჰიდროლოგიური ანგარიში.
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მშენებლობისთვის საჭირო ბეტონის ნარევი შემოტანილი იქნება ბეტონმზიდი მანქანებით სხვადასხვა საამქროებიდან. დოკუმენტში არ არის მითითებული კონკრეტულად საიდან იქნება შემოტანილი სამშენებლო მასალები და ამისთვის გათვალისწინებულია თუ არა დამატებითი მისასვლელი დროებითი გზების მოწყობის საჭიროება;
- სკოპინგის ანგარიშში ერთიდაიგივე საკითხზე წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აღნიშნულია, რომ „მშენებელი კონტრაქტორი დააზუსტებს ფუჭი ქანების განთავსების ტერიტორიის ადგილმდებარეობას, შეიმუშავებს სანაყაროს პროექტის და შესაბამის მართვის გეგმას“. ამავე დროს სხვადასხვა გვერდებზე აღნიშნულია: „მოცემული მიწის სამუშაოთა მოცულობების გათვალისწინებით, ვაკისის მოწყობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე ქანების სანაყაროსთვის შესაბამისი ტერიტორიის მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელია. მათი შორ მანძილზე ტრანსპორტირება დაკავშირებული იქნება მაღალ ხარჯებთან და ეკონომიკურად გაუმართლებელია. გამომდინარე აღნიშნულიდან გამომუშავებული ქანების განთავსება მოხდება მათი წარმოქმნის ადგილზე, კერძოდ: ნაწილი გამოყენებული იქნება გზის ვაკისის მოსაწყობად, ხოლო უმეტესი ნაწილი დასაწყობდება გზის მომიჯნავე ზოლში ნაყარის სახით“. სკოპინგის ანგარიშში დასაზუსტებელია ფუჭი ქანების მოცულობა, ხოლო გადაწყვეტას საჭიროებს ფუჭი ქანების მართვის და სანაყაროების მოწყობის საკითხი. ამასთან, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროექტები ნაპირსამაგრი ღონისძიებების გათვალისწინებით;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ ქვეთავში - შესაძლო ზემოქმედება მცენარეულ საფარზე აღნიშნულია: „როგორც ძველი გზის რეკონსტრუქციის დროს, ისე ახალი გზის გაყვანის დროს, მოსალოდნელია ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. აღნიშნული ასახვას პოვებს, როგორც სამანქანო გზის რეკონსტრუქციის ტერიტორიის, ისე (უფრო მეტად) ახალი გზის გაყვანის უბნების მცენარეულობის მოსალოდნელ დეგრადაციაში.“ ასევე აღნიშნულია, რომ „პროექტით გათვალისწინებული საავტომობილო გზა ძირითადად გაყვანილია...“ ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება წარმოდგენილ პროექტს, შესაბამისად ეჭვს ბადებს, რომ მცენარეულ საფარზე ზემოქმედების ქვეთავი და აღნიშნულ თავში განხილული მცენარეული საფარი არ შეესაბამება წარმოდგენილი პროექტის ბიომრავალფეროვნებას და სხვა პროექტიდან არის გადმოტანილი.
- წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული კუმულაციური ზემოქმედება და განსახილველი პროექტის და საკვლევი რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა ძალზე ზოგადია და საჭიროებს კონკრეტული ღონისძიებების განხილვას;
- სკოპინგის ანგარიშის შემარბილებელ ღონისძიებებში ზოგადად არის აღნიშნული ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია ხასიათდება მაღალმთიანი და დიდი დაქანების მქონე კლდოვანი ფერდობებით, საპროექტო გზის გაყვანისათვის საჭირო აფეთქებითი სამუშაოების შედეგად დამატებით უარყოფითი ზემოქმედება წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, შესაძლოდ მოკლე ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელებას.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე